№ 2377/02 "21" 02 2025

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონების პროექტებს: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავ თხოვნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მიიღოს გადაწყვეტილება წარმოდგენილ კანონების პროექტებზე სესიებს შორის პერიოდში ვადების დინების გაგრძელებებისა და მათი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის საგაზაფხულო სესიამდე განხილვის თაობაზე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილი კანონების პროექტების გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

ზემოაღნიშნულ კანონების პროექტებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე განსახილველად წარადგენენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი - ჯაბა ფუტკარაძე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე - ოთარ დიასამიძე.

03-01-08/03
21.02.2025
1 ფურცელი

პატივისცემით,

თორნიკე რიჟვაძე

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა
QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

პროექტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი

„აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (www.matsne.gov.ge) 12/08/2020, სარეგისტრაციო კოდი 430210000.30.056.016088) შეტანილ იქნეს ცვლილება და კანონის:

1. მე-2 მუხლის „კ“ და „მ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) განათლების სისტემაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დაფუძნებული დაწესებულება, რომლის დებულებას ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრი და რომლის ხელმძღვანელსაც შესაბამისად, ნიშნავს და ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და სპორტის მინისტრი;

მ) განათლების სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო დაწესებულებები – კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აფუძნებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო, ამტკიცებს წესდებას, ნიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს. ასევე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებზეც სამინისტრო ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს;“

2. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსილება განათლების ხელშეწყობის სფეროში“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო):

ა) განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით, განათლების ხელშეწყობის მიზნით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ახორციელებს შესაბამის პროგრამებს;

ბ) ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას ზოგადი განათლების სფეროში;

გ) ახორციელებს: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების, სკოლამდელი, ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლების, სახელოვნებო და

არაფორმალური განათლების, სკოლისგარეშე სასპორტო განათლების, ინკლუზიური განათლების, განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობის პროგრამებს;

დ) გასცემს გრანტს;

ე) აფუძნებს კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შესაბამის სფეროში;

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელ პირებს;

ზ) საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის მოთხოვნებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და სპორტის მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში, სამინისტრო უფლებამოსილია, სისტემაში შემავალ საგანმანათლებლო დაწესებულებას მისცეს წერილობითი გაფრთხილება;

თ) სამინისტრო უფლებამოსილია, სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელს ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება, თუ დაწესებულება ერთი წლის განმავლობაში 2 წერილობით გაფრთხილებას მიიღებს;

ი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს;

კ) უფლებამოსილია:

კ.ა) საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში სკოლას მისცეს წერილობითი გაფრთხილება ან/და სკოლის სამეურვეო საბჭოს მიმართოს შესაბამისი დასაბუთებული წარდგინებით დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე;

კ.ბ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაითხოვოს სამეურვეო საბჭო ან/და ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება დირექტორს/ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს;

ლ) ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საქართველოს კანონმდებლობით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

მ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან კოორდინაციით, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.

3. კანონის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. განათლების სფეროს დაფინანსება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო უფლებამოსილია განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების, უმაღლესი, პროფესიული, სკოლამდელი, ზოგადი, სახელოვნებო, სასპორტო, სკოლისგარეშე, არაფორმალური განათლების პროგრამების ფინანსური მხარდაჭერა.“

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს 2025 წლის 1 მარტიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე

ბათუმი,
2025 წლის თებერვალი
№

ი. ბერიძე

განმარტებითი ბარათი

,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტი გამომდინარეობს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტიდან. წინამდებარე კანონპროექტის მიღება განპირობებულია აღმასრულებელ ხელისუფლებაში განსახორციელებელი ცვლილებით. კერძოდ, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ნაცვლად შეიქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამონაცვლედ განათლების მიმართულებით ჩაითვლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო, ხოლო კულტურის მიმართულებით - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო. შესაბამისად, წარმოდგენილ კანონპროექტში იცვლება სამინისტროს სახელწოდება ზემოთ მითითებული უფლებამონაცვლეობის გათვალისწინებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში მითითებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს არსებული სახელწოდება. მის ნაცვლად ახალი სამინისტროების შექმნა განაპირობებს ,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“ ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის საჭიროებას.

კანონპროექტის მიღებით ,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი შესაბამისობაში მოვა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებულ ცვლილებასთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით განსაზღვრული უფლებამონაცვლეობის გათვალისწინებით, კანონპროექტის თანახმად, ცვლილება შედის ,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში. კერძოდ, კანონპროექტის პირველი მუხლის თანახმად, ცვლილება შედის კანონის მე-2 მუხლში და ახალი რედაქციით ყალიბდება ,,კ“ და ,,მ“ ქვეპუნქტები; შესაბამისად, ქვეპუნქტებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ნაცვლად, აისახება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო.

ცვლილება ეხება კანონის მე-5-ე მუხლს, რომელიც განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსილებას განათლების ხელშეწყოფის სფეროში. კანონის მე-5 მუხლი ახალი რედაქციით ყალიბდება და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ნაცვლად, აისახება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო.

ასევე, ცვლილება შეეხება კანონის მე-7 მუხლს, რომელიც ითვალისწინებს განათლების სფეროს დაფინანსებას. კანონის მე-7 მუხლი ახალი რედაქციით ყალიბდება და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ნაცვლად, აისახება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების დაფინანსებას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ გავრცელდება მისი მოქმედება.

ბ1) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ2) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

წარმოდგენილი კანონპროექტი მოწონებულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

დ) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ე) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.